



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალთუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49232375

თარიღი:25/08/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N11-ში მდებარე N29.08.31.232 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 640 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის - 200 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით, მსუბუქი კონსტრუქციის ჩადგმით, ხოლო მიწის დარჩენილი ნაწილი 376 კვ.მ. - მოვლა-პატრონობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით (საჭიროების შემთხვევაში მერიის მიერ მოთხოვნისთანავე ან/და ქალაქის ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი მოთხოვნების განხორციელებამდე), იჯარის უფლებით, პირობით სარგებლობაში მოქალაქე გიზო კილაძისათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (48-482323411; 22/08/2023) წერილი, რომელშიც მოქალაქე გიზო კილაძის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას აღნიშნულ მოქალაქეს პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით (საჭიროების შემთხვევაში მერიის მიერ მოთხოვნისთანავე ან/და ქალაქის ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი მოთხოვნების განხორციელებამდე), იჯარის უფლებით, პირობით სარგებლობაში გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N11-ში მდებარე N29.08.31.232 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 640 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი - 200 კვ.მ. ფართი კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით, მსუბუქი კონსტრუქციის ჩადგმით, ხოლო მიწის დარჩენილი ნაწილი - 376 კვ.მ. მოვლა-პატრონობის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გიზო კილაძეს, პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით (საჭიროების შემთხვევაში მერიის მიერ მოთხოვნისთანავე ან/და ქალაქის ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი მოთხოვნების განხორციელებამდე), იჯარის უფლებით, პირობით სარგებლობაში გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N11-ში მდებარე N29.08.31.232 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 640 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი - 200 კვ.მ. ფართი კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით, მსუბუქი კონსტრუქციის ჩადგმით, ხოლო მიწის დარჩენილი ნაწილი - 376 კვ.მ. მოვლა-პატრონობის მიზნით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების

მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

